GEH

GREEN - ENERGY HOLDING

დამტკიცებულია შპს “გრინ – ენერჯი ჰოლდინგი”– ს (ს/კ: 405734022)
სამეთვალყურეო საბჭოს 2024 წლის 30 დეკემბრის სხდომის ოქმი N–2 ით

სარჩევი

შესავალი 3

1. მწვანე ობლიგაციების კომიტეტის (კომიტეტის) ძირითადი მიზნები და მოქმედების ფარგლები 4

2. მწვანე ობლიგაციების კომიტეტის ძირითადი ფუნქციები 4

3. მწვანე ობლიგაციის კომიტეტის წევრები და ანგარიშვალდებულება 4

4. მწვანე ობლიგაციების კომიტეტის სხდომა და ხმის მიცემის პროცედურა 5

5. ანგარიშგება და გამჭვირვალობა 6

6. სხვა საკითხები 6

შესავალი

შპს „გრინ – ენერჯი ჰოლდინგმა“ 2024 წლის დეკემბრის თვეში შეიმუშავა მწვანე დაფინანსების ჩარჩო[1], ხოლო თიბისი კაპიტალისა და აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით, 2024 წლის 19 დეკემბერს მწვანე დაფინანსების ჩარჩოზე მეორე მხარის მოსაზრება წარმატებით მოიპოვა, რაც იმას ნიშნავს, რომ წარმატებით შემუშავდა მწვანე დაფინანსების ჩარჩო და მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი დამოუკიდებელი შემფასებლის, Sustainalytics-ის მხრიდან, დადებითი მეორე მხარის მოსაზრება გახდა საჯარო[2], რომელიც ადასტურებს, რომ კომპანიის მიერ მისი შვილობილი კომპანიების საშუალებით (GEH Groups) შესრულებული და დაგეგმილი, განახლებადი ენერგიის პროექტები შესაბამისობაშია მწვანე დაფინანსების საერთაშორისო პრინციპებთან.

2025 წლის 23 ივნისს, შპს „გრინ – ენერჯი ჰოლდინგის”, შვილობილმა კომპანიამ შპს ,,ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიამ” (ს/კ შემდგომში “EDG”) განახორციელა მწვანე ობლიგაციების ემისა, მოზიდული სახსრები შპს ,,ენერჯი დეველფომენტ ჯორჯიას“ მიერ მწავნე ინვესტიციების დაფინანსების პროექტებს მოხმარდება.

ზემორე ემისიის ფარგლებში და ზოგადად, მწვანე დაფინანსების ინსტრუმენტებით მოზიდული სახსრების მხოლოდ შესაბამის (Eligible) პროექტებზე განაწილების უზრუნველსაყოფად, შპს „გრინ - ენერჯი ჰოლდინგმა“ შექმნა მწვანე ობლიგაციების კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელია შპს „გრინ - ენერჯი ჰოლდინგის” და მისი შვილობილი კომპანიების (GEH Groups) პროექტების შეფასებისა და შერჩევის პროცესზე.

სამეთვალყურეო საბჭოს 2024 წლის 30 დეკემბრის სხდომის ოქმი N–2 ით განისაზღვრა მწვანე ობლიგაციების კომიტეტის შემადგენლობა და დამტკიცდა მწვანე ობლიგაციების კომიტეტის წინამდებარე დებულება.

---

[1] Second-Party Opinion Green Energy Holding LLC Green Financing Framework [მწვანე დაფინანსების ჩარჩო.pdf]

[2] Green Energy Holding Green Financial Framework [GEH- Green Financing Framework.pdf]

1. მწვანე ობლიგაციების კომიტეტის (კომიტეტის) ძირითადი მიზნები და მოქმედების ფარგლები

1.1 მწვანე ობლიგაციების კომიტეტის ძირითადი მიზანია კომპანიის და მისი შვილობილი კომპანიების მიერ მწვანე ობლიგაციების განთავსებიდან მიღებული სახსრების ეფექტური გამოყენების შეფასება და მათი მდგრადი განვითარების ხელშეწყობა.

1.2 მიზნის მისაღწევად, მწვანე დაფინანსების ჩარჩოს საფუძველზე, მის მიერ მინიჭებული კომპტენციის ფარგლებში, მწვანე ობლიგაციების კომიტეტი ჩართულია კომპანიის/ შვილობილთა მიერ, მათ შორის EDG -ის მწვანე ობლიგაციების ემისიის ფარგლებში წარმოებულ შემდეგ პროცესებში:

- მოზიდული სახსრების გამოყენება
- პროექტების შეფასებისა და შერჩევის პროცესი
- მოზიდული სახსრების მართვა
- რეპორტინგი

2. მწვანე ობლიგაციების კომიტეტის ძირითადი ფუნქციები

2.1 მწვანე ობლიგაციების კომიტეტის ძირითადი ფუნქციებია:

- შვილობილი კომპანიების მიერ წარმოდგენილი მწვანე პროექტების პირველადი სქრინინგი, თუ რამდენად უნდა მოხდეს მოზიდული სახსრების მიმართვა (Use of Proceeds) ახალი ან არსებული მწვანე პროექტების (Eligible Green Projects) სრულად ან ნაწილობრივ დასაფინანსებლად ან რეფინანსირების მიზნის კონტროლი, იმ კრიტერიუმების გათვალისწინებით, რომელიც მოცემულია მწვანე დაფინანსების ჩარჩოში (Eligibility Criteria)
- მწვანე პროექტის მდგრადობისა და გარემოსდაცვითი კრიტერიუმების შეფასება, მათ შორის კომპანიის, მისი შვილობილი კომპანიების გარემოსდაცვითი, სოციალური და მდგრადი განვითარების (“ESG”) საკითხების განხილვა;
- დაფინანსების განაწილების პროცესის, ე.წ „განაწილების ანგარიშების“ (“Allocation reports“) გადახედვა და გამჭვირვალობისა და მწვანე დაფინანსების ჩარჩოს მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.
- შვილობილი კომპანიების მიერ დაგეგმილი შესაბამისობის შემოწმების (Compliance review) ჩატარებაში მონაწილეობა მწვანე დაფინანსებიდან მიღებული თანხების სრული განაწილების შემდეგ, რათა დაადასტუროს, რომ მწვანე ობლიგაციების შემოსავალი გამოყენებულია ჩარჩო დოკუმენტში განსაზღვრული მოზიდული სახსრების გამოყენების კრიტერიუმების შესაბამისად.

3. მწვანე ობლიგაციის კომიტეტის წევრები და ანგარიშვალდებულება

3.1 მწვანე ობლიგაციების კომიტეტის შემადგენლობას განსაზღვრავს მწვანე დაფინანსების ჩარჩო, ის შედგება სულ მცირე 4 წევრისგან, შემდეგი შემადგენლობით:

- ერთ წევრს წარმოადგენს კომპანიის დირექტორი, რომელიც ხელმძღვანელობს კომიტეტს
- ერთი წევრს უნდა წარმოადგენდეს შპს ,,გრინ–ენერჯი ჰოლდინგის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

- ერთი წევრს უნდა წარმოადგენდეს შპს ,,გრინ–ენერჯი ჰოლდინგის“ შესაბამისი შვილობილი კომპანიის აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე
- ერთ წევრი უნდა იყოს წარმომადგენელი გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებში

3.2 მწვანე კომიტეტის შემადგენლობას ამტკიცებს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო, მათი უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება შემდეგი შემადგენლობის დამტკიცებამდე, ან ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტამდე.

3.3 მწვანე ობლიგაციების კომიტეტი ანგარიშვალდებულია კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე;

4. მწვანე ობლიგაციების კომიტეტის სხდომა და ხმის მიცემის პროცედურა

4.1 მწვანე ობლიგაციების კომიტეტის სხდომები გაიმართოს კვარტალში ერთხელ მაინც, წარმოდგენილი განაწილების ანგარიშების (Allocation Report) გადახედვის და მათ მწვანე დაფინანსების ჩარჩო დოკუმენტში მოცემულ სპეციალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. როგორც წესი წინ უნდა უსწრებდეს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს.

4.2 მწვანე ობლიგაციების კომიტეტის სხდომა მოიწვევა კომპანიის/შვილობილი კომპანიების სამეთვალყურეო საბჭოს მოთხოვნით, ასევე საჭიროებისამებრ კომიტეტის თავმჯდომარის ინიციატივით, მწვანე ობლიგაციების ჩარჩოს ფარგლებში კრიტერიუმების მიხედვით წარმოდგენილი მწვანე პროექტების სქრინინგისთვის, კომპანიის, მისი შვილობილი კომპანიების მდგრადი განვითარების ფარგლებში შექმნილი დოკუმენტების განსახილველად და დასამტკიცებლად.

4.3 სხდომაზე განსახილველი საკითხების სპეციფიკის და საჭიროებიდან გამომდინარე, სხდომას შესაძლოა დაესწრონ შესაბამისი კვალიფიკაციის მოწვეული პირები, მათ შორის ასეთები შესაძლოა იყვნენ შესაბამისი დარგის სპეციალისტები გარემოსდაცვითი, სოციალური და მდგრადი განვითარების (“ESG”) საკითხებში, ფინანსური ანალიტიკოსები და ა.შ. მათ, სხდომაზე ეძლევათ კვალიფიკაციის შესაბამისად მოსაზრების წარმოდგენის შესაძლებლობა ხმის უფლების გარეშე.

4.4 სხდომას ხელმძღვანელობს მისი თავმჯდომარე, არყოფნის შემთხვევაში, სხდომას უხელმძღვანელებს წევრთა შორის ხმათა უმრავლესობით არჩეული პირი.

4.5 კომიტეტის კრება გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ესწრება ყველა წევრი. ქვორუმის არარსებობის შემთხვევაში, განმეორებითი კრება გადაწყვეტილებაუნარიანია დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავად.

4.6 კრებაზე გადაწყვეტილება მიიღე კენჭისყრაში მონაწილება ხმების უმრავლესობით. წევრებს შორის ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომიტეტის თავმჯდომარის ხმა.

4.7 იმ შემთხვევაში, როდესაც კომიტეტის მიერ განსახილველი საკითხები შეიცავს ისეთ საკითხს, რომლის მიმართაც წევრს გააჩნია დადასტურებული ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი, ასეთი წევრი არ იღებს მონაწილეობას მასთან დაკავშირებული საკითხის განხილვაში ან/და გადაწყვეტაში და შესაბამისად, აღნიშნული წევრის ხმა არ იანგარიშება კომიტეტის სხდომაზე კვორუმის დათვლისას.

4.8 კომიტეტის სხდომის ოქმს ადგენს „მდივანი“ და თავმჯდომარესთან ერთად ხელს აწერს მას.

5. ანგარიშგება და გამჭვირვალობა

კომიტეტი მწვანე დაფინანსების ჩარჩოს შესაბამისად უზრუნველყოფს მწვანე ობლიგაციების ფარგლებში განხორციელებული პროექტების შესახებ ანგარიშგების სისტემატურობასა და გამჭვირვალობას. ანგარიშგება მოიცავს პროექტების აღწერას, მათი გარემოსდაცვითი და სოციალური შედეგების შეფასებას, ფინანსურ მაჩვენებლებს და შესრულების პროგრესს. ანგარიშგება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინვესტორებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის. კომიტეტი უზრუნველყოფს ანგარიშგების შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან. ანგარიშგების საჯაროობა უზრუნველყოფს ინვესტორთა ნდობას და ხელს უწყობს ორგანიზაციის რეპუტაციის განმტკიცებას.

6. სხვა საკითხები

6.1 კომიტეტი ანგარიშვალდებულია რა კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე, აძლევს მას რეკომენდაციებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ნებისმიერ სფეროში, სადაც ჩათვლის, რომ არსებობს რაიმე ქმედების ან გაუმჯობესების საჭიროება, მწვანე პროექტების განხორციელების ან მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით.
6.2 კომიტეტი უფლებამოსილია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და მას მინიჭებული აქვს მანდატი საკუთარი უფლება-მოვალეობების შესასრულებლად მოიძიოს და გამოითხოვოს კომპანიის, მისი შვილობილების ინფორმაცია, რომელიც მისი მიერ გადასაწყვეტ საკითხს ეხება, მიიღოს კონსულტაცია ნებისმიერ პირისგან, მოიწვიოს ის სხდომაზე, მოისმინოს დარგის სპეციალისტთა მოსაზრება,
6.3 კომიტეტის მიერ მიღებულ რეკომენდაციებსა და განხილვების შედეგებზე უნდა იწარმოებოდეს შესაბამისი ჩანაწერები, ოქმები.
6.4 კომიტეტის დებულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, შესაბამისი პროცედურების დაცვით.